3338

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო გაზეთი

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

	ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ და გარეშე ადგილებში:	ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲔᲚᲐᲗ: მან.
ᲔᲠᲗᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲐ	— 4 მან.	— 3
ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲐ	— 3 —	— 2
ᲡᲐᲛᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲐ	— 1 მ. 50 კ.	— 1 მ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ:

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ᲑᲔᲑᲣᲗᲝᲕᲘᲡ სახლში, პოლიციის გვერდით.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-°.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲣᲤᲐᲡᲝᲗ, ᲓᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲒᲖᲐᲕᲜᲝᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲛᲞ. ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ.

№ 20. ᲨᲐᲑᲐᲗᲘ. II. 25 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ 1869 Წ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

„ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲖᲔ

1870 ᲬᲔᲚᲨᲘ.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲡ 1870 ᲬᲔᲚᲡ „ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲛᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲗᲐᲪ ᲐᲛ ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲝᲓᲐ. ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ ᲡᲐᲝᲯᲐᲮᲝ ᲪᲮᲝᲕᲔᲚ-ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ.

ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲐᲤᲔᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ:

ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲨᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡᲐ ᲝᲗᲮᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ; ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲔᲚᲐᲗ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ

ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐᲨᲘ ᲝᲗᲮᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ. ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡᲐ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ ᲝᲠᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ; ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲔᲚᲐᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲐᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ, ᲔᲠᲗᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲝᲠᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ.

„ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ ᲝᲠ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲨᲐᲤᲐᲗᲝᲑᲘᲗ.

ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲑᲐ.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐ“ ᲓᲐ “ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜᲗ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲝᲜ ᲐᲛ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ;

Въ Тифлисъ. Въ Контору Редакціи „Сельск. Газеты“ при Типографіи Меликова. и К.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Გ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ:—ᲧᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲚᲘ ᲛᲣᲮᲚᲔᲑᲘ.—ᲐᲠᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ:—ᲡᲝᲡᲜᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲨᲙᲝᲚᲐᲨᲘ.—ᲛᲐᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ: ᲥᲐᲚᲘᲐ.—ᲡᲐᲝᲯᲐᲮᲝ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.—ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ:—ᲛᲔᲓᲠᲝᲭᲙᲔᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ.—ᲥᲔᲠᲫᲝᲛᲝᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ОФИЦІАЛЬНЫЙ ОТДѢЛЪ.

ИЗВЛЕЧЕНІЕ ИЗЪ ЛѢСНЫХЪ ПОСТАНОВЛЕНІИ.

Сѣнокошеніе.

За кошеніе сѣна на полянахъ, не отданныхъ въ оброчное содержаніе, съ дозволенія лѣсничаго (по билету) взыскивается по 2 коп. съ пуда; за самовольное же сѣнокошеніе полагается штрафъ по 10 коп. съ пуда (примѣчан. къ смѣтѣ и таксамъ.)

Распашки лѣсныхъ полянъ.

За распашку лѣсныхъ полянъ, если таковыя не будутъ отданы въ оброчное содержаніе съ торговъ, взыскивается съ жителей по кутаисскому лѣсничеству по одному рублю за кцеву, въ прочихъ же лѣсничествахъ по 2 руб. съ десятины (примѣч. къ смѣтѣ и таксамъ.)

Лѣсные плоды, кои въ пользованіе въ оброкъ не отданы и изъ общаго употребленія особеннымъ какимъ либо запрещеніемъ не изъяты, состоятъ въ свободномъ пользованіи

желающихъ, съ соблюденіемъ правилъ, до охраненія лѣсовъ относящихся (статья 821 т. VIII Устава Лѣснаго.)

Стража и полѣсовщики.

Охраненіе казенныхъ дачъ ввѣряется полѣсовщикамъ, избираемымъ казенными крестьянами на три года (желающій можетъ оставаться и долѣе). Общества могутъ и не избирать, а нанимать, но съ тѣмъ чтобы отвѣтственность за послѣднихъ падала на общество.

Полѣсовщики живутъ въ селеніяхъ, близь ввѣренныхъ имъ лѣсовъ;—въ дачахъ же болѣе отдаленныхъ для нихъ устрайваются караулки.

Полѣсовщики освобождаются отъ всѣхъ натуральныхъ, мірскихъ и земскихъ повинностей на все время службы ихъ.

Обязанность стражи.

На лѣсную стражу возлагается: а) охраненіе лѣса отъ порубщиковъ; о всякой открытой порубкѣ она должна немедленно доносить лѣсничему. Если порубщикъ найденъ, то она должна представить его къ ближайшему сельскому старшинѣ; если же ихъ много, то стража слѣдуетъ за ними до ближайшей деревни и тамъ сзываетъ народъ для поимки ихъ, или для подкрѣпленія своего свидѣтельства. Оружіе горячее и холодное употребляется стражею только для собственной защиты, или по приказанію лѣсничаго. б) Стража охраняетъ границы лѣса, наблюдаетъ за заготовкой его, безъ печатнаго билета не допускаетъ никого къ рубкѣ и предупреждаетъ лѣсные пожары.

в) Стража исполняетъ легкія лѣсныя работы: учавствуетъ при клейменіи деревъ, занимается сборомъ сѣмянъ и т. под.

О пожарахъ.

При выжиганіи травы, жнитвы, или кореньевъ на полосѣ, разстояніемъ отъ казенной лѣсной дачи не далѣе $^1/_2$ версты, должны предварительно дать знать о томъ стражѣ и вокругъ горящаго мѣста обвести ровъ, или вспахать землю, или ободрать дернъ вверхъ корнями не уже какъ на двѣ саж. Въ случаѣ вѣтра выжиганіе откладывается. Сверхъ сего предписывается не раскладывать въ лѣтнее время огня.

Ходящимъ за грыбами и ягодами вовсе воспрещается разведеніе огня.

При охотѣ не употреблять горючихъ пыжей.

Въ случаѣ пожара лѣсная стража даетъ знать лѣсничему и полицейской власти, и немедленно сзываетъ окрестныхъ жителей на 10 верстномъ, а гдѣ населеніе мало на 25 верстномъ разстояніи.

Крестьяне по первому призыву должны явиться съ заступами, метлами, ведрами и тому подобными огнегасительными орудіями (ст. 85, 86, 88, 89, 94, 95, 96, и 97 т. VIII Устав. Лѣсн.)

Охота.

Охота запрещается въ Закавказскихъ лѣсахъ:

1, На мѣстную птицу: фазановъ, турочей, горныхъ курочекъ и куропатокъ съ 1 марта по 1 августа, (вмѣсто 29іюля).

2, Для краснаго звѣря: оленя, джейрана и дикихъ козъ всѣхъ наименованій съ 1-го января по 1 іюля.

3, На перелетную птицу: журавлей, лебедей, драхвъ, гусей, утокъ, стрепетокъ, перепеловъ, вальдшнеповъ и куликовъ всѣхъ наименованій.

Въ Тифлисской губерніи охота воспрещается повсѣмѣстно съ 1 мая по 1 августа.

Кромѣ того строго воспрещается разореніе птичьихъ гнѣздъ и выниманіе изъ нихъ яйцъ и ловля звѣрей и птицъ недозволенными средствами: вентерями, охота кобылкою, съ ружьемъ или раскидными и разставными сѣтями (циркуляри. распоряж. Его Импер. Высочества Нам. Кавказскаго отъ 10 апрѣля 1868 года № 186).

Въ запрещенное время охоты, продажа дичи преслѣдуется полиціею (статья 915 Уложеніе о наказаніяхъ уголовныхъ и исправительныхъ изд. 1866 года)

О нарушеніи Устава пожарнаго.

За раскладываніе огня въ недозволенное время и въ недозволенномъ мѣстѣ, за оставленіе огня не потушеннымъ, за куреніе табаку или сигаръ въ хвойныхъ лѣсахъ въ жаркое время, за употребленіе при стрѣляніи въ лѣсу для зарядовъ пакли или мха полагается денежное взысканіе несвыше десяти руб. (ст. 95 Устав. 20 ноября 1864 года.)

За умышленный поджогъ лѣса выновный лишается всѣхъ правъ состояній и ссылается въ отдаленныя мѣста Сибири на поселеніе. Если поджогъ сдѣланъ зловамѣренною шайкою, или во время засухи, или когда въ лѣсу были люди, или находятся селенія, то наказаніе возвышается одною или двумя и даже тремя степенями. (Ст. 1613 Улож. о нак. угол. и испр. изд. 1866 года.)

Кто не явится на потушеніе пожара, безъ законной причины, или уйдетъ ранѣе срока, тотъ подвергается денежному взысканію не свыше десяти руб. (ст. 96 Уст. 20 ноября 1864 года.)

ოფიციალური ნაწილი.

ტყის კანონებიდან გამოკრებული მუხლები.

მიბვისათვის.

საცა იჯარით არ არის გაცემული, იმ მინდერების მოთიბისთვის გამოერთმევათ ფასი ერთ ფუთ თივაზე ორი კაპეიკი. სათიბების ამღებს ლესნიჩისაგან უნდა მიეცეს ნება კანონიერი ბილეთით.

ნება დაურთველათ მოთიბვისათვის გარდახდებათ ფუთზე ორი შაური შტრაფი, (ანგარიშზე და ტაქციაზე მომატებული შენიშვნის ძალით).

ველების დახვნისათვის.

თუ ველები იჯარით არ არის გაცემული, იმათი მოხვნისათვის ერთ ქცევაზე ჭუთაისის სალესნიჩოში გადახდებათ ერთი მანეთი, სხვა ალაგას დესეტინაზე ორი მანეთი. (შენიშვნა ანგარიშზე და ტაქციაზეა).

თუ ტყე იჯარით არ არის გაცემული, ტყის ნაყოფიერობა: ხეხილი, სოკო და სხვ. ყველას შეუძლიან უფულოთ დაჭრიფოს, გარდა იმ ნაყოფისა, რომლის ხმარება კანონით დაშლილია. ამ შემთხვევაში ტყეში მოსიარულეთა ტყეს არა აენონნა, თორემ გადახდებათ, როგორც სატყეო—წესდებაშია მოხსენებული. (მუხლი 821, VIII ტომ. სატყეო წესდება).

ტყისა და აგარების მცველებისათვის.

— სახელმწიფო აგარებისა და ტყეების ყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაულობა ტყის მცველებზე უნდა იყოს მინდობილი. ამათ ამოარჩევენ სახელმწიფო გლეხები სამი წლის ვადით. (ვისაც უნდა ამაზ უფრო დიდხანსაც დარჩება). სოფლის საზოგადოებას თუ ტყის მცველის ამორჩევა არ უნდა, შეუძლია სხვა ვინმე დააყენოს ქირითა ან მეველეთ, ან მეტყველეთ, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვინიცობაა თუ რამე გაფუჭდა სახელმწიფო ტყეში, პასუხის მგებელი საზოგადოება იქნება.

ტყის მცველები ცხოვრობენ სოფელში, თუ ტყე სოფელზე ახლოა და თუ შორს არის, მაშინ უნდა დაიდგან საყარაულო ქოხები.

ტყის მცველებს სახელმწიფო და სასოფლო ხარჯი არა გამოერთმევათრა, სანამდის ტყის მცველათ იქნებიან.

ტყის მცველების მოვალეობისათვის.

ტყის მცველებმა უნდა ყური უგდონ ა) ტყეს, რომ არავინ მოჭრას და თუ ვინმე ნების აურთმეველათ შეეიდა ტყეში მოსაჭრელათ, მეტყეველ მაშინვე უნდა შეატყობინოს ეს ამბავი ლესნიჩსა. თუ მეტყეველ ტყის მომჭრელი დაიჭირა, მაშინვე უნდა წარადგინოს მახლობელ სოფლის მამასახლისთან. როცა ტყის მომჭრელები ბევრია, მაშინ მეტყეველ უნდა გამოუდგეს იმათ მახლობელ სოფლამდის და იქ უნდა დაუძახოს სოფელს, რომ ესენი დააჭერინოს, ან არა და მოწმებათ დანიშნოს. იარაღი თოფ-ტამბაჩა, ან სატეეარ-ხმალი მხოლოდ მოსაგერებელათ უნდა იმაროს მეტყეველ, ან როცა ლესნიჩი უბძანებს.

ბ) მეტყეველ ყოველთვის გარს უნდა უვლიდეს ტყესა, თვალყური ეჭიროს ტყის დამზადებაზე და უბილეთოთ არავის არ უნდა მოაჭრევინოს, აგრეთვე თვალყური უნდა ეჭიროს, რომ ტყეში ცეცხლი არ გაჩნდეს.

გ) მეტყეველ უნდა აკეთებდეს ადვილ სამუშაო საქმეებს, უნდა დაესწროს როცა ხეებს ბეჭდებს დაასმენ, უნდა მოკრიფოს თესლები და სხვ.

ცეცხლის გაჩენისათვის.

როცა სახელმწიფო ტყის მახლობლათ უნდა ბალახის ან ნაპურალის მოწვა, თუ დასაწვავი ალაგი ნახევარ ვერსზეა ტყიდგან, მაშინ პატრონმა უნდა შეატყობინოს ეს მეტყეველსა და საცა ცეცხლია, იმ ალაგას ან რუ უნდა შემოაველონ ორი საჟენი სიგანე და ან ხნულით უნდა გააცალკეონ ტყესთან. ქარი თუ ჰქრის ველის დაწვა უნდა შეჩერდეს, სანამ ქარი არ ჩადგება.

ამას გარდა ნაბძანებია, რომ ზაფხული ცეცხლი არ დაანთონ. და ვინც სოკოსა და ხილის მოსაკრებად დადის ტყეში, იმას ცეცხლის დანთების ნება არა აქვს. მონადირეებმა არ უნდა იხმარონ ჩიარი და ძონძი თოფის გასატენათ.

თუ ტყეში ცეცხლი გაჩნდა, მეტყეველ მაშინვე უნდა შეატყობინოს ეს ამბავი პოლიციასა და ლესნიჩსა და ათ ვერსზე გარემო სოფლებს უნდა შეატყობინოს თუ პატარა-პატარა სოფლებია, მაშინ ოცდა ხუთ ვერსზედ მოშორებითაც უნდა შეატყობინოს სოფლელებს ეს ამბავი. როგორც კი შეატყობინებენ გლეხებს, ისინი მაშინვე უნდა მიეშველონ ბარ-ნიჩბით, ცოცხებით ჩაფებით და სხვ. ცეცხლის გასაქრობელი იარაღებითა (მუხ.85, 86, 88, 89, 94, 95, 96, და 97 VIII ტომი. სატყეო წესდება).

ნადირობა.

ქავკასიის აქეთა მხარეში ნადირობა დაშლილია ქვემოხსენებულს შემთხვევაებში.

1) დაშლილია პირველ მარტიდგან პირველ მარიამობისთვემდის ნადირობა ხოხობზე, კაკაბზე, მთის ქათმებზე და სხვ.

2) პირველ იანვრიდგან პირველ მკათათვემდის ნადირობა არ შეიძლება ირემზე, ჯეირანზე, და გარეულ თხაზე, ქურციკზე და სხვა ამგვარ მხეცზე.

3) დაშლილია წეროსი, გედის, გარეული ბატის, იხვის, სარსარის, საკათის და ყოველ გვარ ღალღის მოკვლა.

ტფილისის გუბერნიაში პირველ მაისიდგან პირველ აგვისტომდე ნადირობა ყველგან დაშლილია.

ამას გარდა ფიცხლათ დაშლილია ჩიტის ბუდეების დანგრევა და კვერცხების ამოღება, მხეცების და ფრინველების ჭერა ხაფანგით, ირანჭკით და ბადითა (1868 წელს, 10 აპრილს გამოცემული ირგვლივ-მიწერილობა მისის იმპერატორების უმაღლესობის ქავკასიის ნამესტნიკისაგან, №186).

როცა ნადირობა დაშლილია, ამდროს ნანადირევის გაყიდვისათვის პოლიცია დასჯის. (მუხლი 915 სამსჯავრო და მოსარგებლებელი კანონების დაწესება გამოცემული 1866 წელსა.

ცეცხლის გაჩენაზე დაწესებული კანონების დარღვევისათვის.

საცა დაშლილია, იქ ცეცხლის დანთებისათვის, ცეცხლის დაუქრობელობისათვის, თამბაქოს, ანუ ციგარის წევისათვის ფიქვნარში როცა სიცხეა, ძონძისა ანუ ჩვარის ხმარებისათვის თოფის გასატენათ ნადირობის დროსა დადებულია შტრაფათ ფული ათ მანეთამდის (95 მუხ. წესდებისა, რომელიც გამოიცა 1864 წელს 20 ნოემბერსა).

ბანზრახ ტყის ცეცხლის მოკიდებისათვის დამნაშავეს ჩამოერთმევა ყოველი ხარისხი, სიმართლე და გაგზავნიან შორს ციმბირის ადგილებში დასასახლებელათ. თუ ცეცხლი მოუკიდებია ბოროტს კაცებს მაშინ, როცა სიცხე ყოფილა, ან როცა ტყეში კაცები არიან ან სოფელია დასახლებული, იმათ უფრო მწარედ დასჯიან (მუხ. 1613 წესდება დასჯაზე და მორჯულებაზე, რომელიცა გამოიცა 1866 წ.)

ვინც ცეცხლის დასაქრობელათ არ მოვა, ან ვინც დაქრობაზე უმალ წავა და პატივისაცემელ მიზეზს არ წარმოადგენს, იმათ გარდახდებათ შტრაფი ათ მანეთამდე. (96 მუხ. 1864 წელს 20 ნოემბერს გამოცემული წესდებისა).

არა ოფიციალური ნაწილი.

სოსნოვის სამეურნეო შკოლაზე.

ჩვენი ოჯახობა და მიწის მუშაობა არ შეეფერება ახლანდელს ჩვენს ცხოვრებას. ხალხი მრავლდება, მიწა ცოტავდება, უწინ რომ ერთ მოსახლეს ჰქონდა, იმდენ მიწაზე ახლა სამი მოსახლე ცხოვრობს; თითო მოსახლეს უწინდელი გლეხის მესამედი ადგილ-მამული თუ ექნება, მეტი არა; მიწის მუშაობა კი როგორიც უწინ ყოფილა, ახლაც იმნაირია. ჩვენი სოფლელი მეოჯახე უწინაც შვიდ უღელ ხარ-კამბეჩს გაიბამდა თავის მძიმე გუთანში და ახლაცა; როგორ ბარ-ნიჩბასაც აქამდის ხმარობდა, ახლაც იმისთანას ხმარობს; რაც ძველათ იცოდა, იმაზე უკეთესი მუშაობა არც ახლა იცის. ცხადია, რომ ამისთანა მდგომარეობაში უფრო ცოტა ადგილ-მამულზე, უფრო ცოტა ნამუშევარიც მოუვა. ადგილ-მამული დაცოტავდა, მუშაობას კი არა მომა-

ტებია რა, ამისთვის მოსავალიც ბევრათ ნაკლები მოსდით. უწინდელი დროც რომ ავილოთ, იმ შემთხვევაშიაც სარჩო გლეხს აღარ უნდა ყოფნიდეს და ამას გარდა ახლა ცხოვრებაც წინანდელზე უფრო ბევრს ითხოვს; რაც უწინ სჭირდებოდა, ახლა ორი იმდენი სჭირდება. აბა ამისთანა მდგომარეობაში რა უნდა იფიქროს ჩვენმა სოფლის მეოჯახემ, რომ რაცა სჭირდება, ის საკმაოთ მოიპოვოს?

*
* *

— უნდა იფიქროს უკეთესი სახლოსნობის სწავლა, უკეთესი მუშაობა უნდა დაიწყოს. განათლებულს ქვეყნებს რომ თვალი გადავავლოთ, იქ ასეთს სიმრავლეს ვნახავთ ხალხისასა, რომ თითქმის სოფელი სოფელზეა მობმული. ადგილები ისე ცოტა არის იქა, რომ რაც ეხლა ჩვენს ერთ გლეხსა აქვს, იმდენი მიწა-წყალი იქ ხუთ გლეხს არ ექნება; მაგრამ ყოველი იქაური ამ ერთი მუჭა მიწაწყლითაც მდიდარია. დღიურს ადგილზე—იქ იმდენი ნამუშევარი მოდის, რამდენიც ხუთ დღიურზე არ მოვა ჩვენში. რათ არის ეს ესე?—იმიტომ არის, რომ იქ ბევრათ უკეთესი მუშაობა იციან, ვინამც ჩვენში; სამუშაოთ უკეთესს იარაღსაც ხმარობენ. იქაური გუთანი დღეში ერთი ან ორი ულლითა იმდენს დახნავს, რამდენსაც ჩვენი შვიდულლიანი გუთანი ხუთს დღეში. მაგრამ ყველაზე უფრო აჯილდოვებს იქაურს სოფლელს კაი მუშაობის ცოდნა. იმათი სიმდიდრის მიზეზი იმათი სწავლაა.

ადგილ-მამულის დაძვირებით ჩვენი მდგომარეობა თანდათან უვარდება. ერთი ღონის ძიების მეტი ვერა გამოგვიყვანს რა ამ გაჭირებულ მდგომარეობისაგან. ჩვენ უნდა დავიწყოთ ისეთი მუშაობა, რომ მუჭისოდენა ადგილზე ჩვენი სამყოფი ნამუშევარი მოვიყვანოთ. ამას უნდა სწავლა: რაც ვიცით იმითი იქნება როგორმე კიდე გავაჯახიროთ ჩვენ ჩვენი ცხოვრება, მაგრამ ჩვენს შვილებს რაღა უყოთ?.. თუ იმათ უკეთესი ცოდნა არ ექნათ, თავს ველარ გაიტანენ. აი ჩემო მკითხველო, ამიტომ ახლავე უნდა შეუდგეთ ამის თადარიგსა, უნდა ვიფიქროთ სამეურნეო შკოლის გამართვაზე, რომ იქ გამოიზარდონ ჩვენი შვილები, ისწავლონ უკეთესი იარაღის ხმარებაცა და უკეთესი მუშაობაცა.

*
* *

ამ საგანზე მე მინდა, მკითხველო, მოვიყვანო ერთი მაგალითი. ციმბირის დასავლეთის მხარეზე მცხოვრებლებისათვის გაუმართავთ მიწის მუშაობის სასწავლებელი შკოლა. იქაური მცხოვრებლები ჩვენზე გაუნათლებელნი არიან, და უფრო მეტი ადგილ-მამულები აქვთ; მაშ შედარებით რომა ვთქვათ, ფიქრიც არ უნდა მოსვლოდათ შკოლის გამართვაზე; მაგრამ რაც გინდა ისა თქვი, ამ საქმეში ჩვენზე წინ ისინი წასულან. იმათ საჭიროთ დაუნახავთ თავიანთი შვილების გამოზრდა კარგ მიწის მუშაობაში და ამისთვის თავის ხარჯზე გაუხსნიათ კიდეცა კარგი ოჯახობის მასწავლებელი შკოლა. მე ახლა დაწვრილებით მოგათხრობთ ამ შკოლის ამბავსა, რას ასწავლიან იქა, ან რა წესზეა შკოლა გამართული და ან რა ღონისძიება აქვს იმასა. იმედი მაქვს უსარგებლოთ არ ჩაივლის მკითხველებისათვის ეს მოთხრობა, რადგანაც აქამდისაც უნდა შევდგომოდით, თორემ აწ მაინც ამისთანა შკოლის გამართვაზე თადარიგი უნდა დავიჭიროთ:

*
* *

თავდა პირველათ სახლოსნობის მასწავლებელი შკოლის გამართვა მოუვიდა აზრში ერთს მდიდარს ვაჭარსა, სახელად კამენსკისა. აქამდის ათას თუმანზე მეტი შეუწირავს, რომ ოღონდ კი გახსნილ იყოს უსტსოსნოვის სახლოსნობის შკოლა დასავლეთის ციმბირში. კამენსკიმ თავისი აზრი ჯერ მიროვის პოსრედნიკს ტრეტიაკოვს გამოუცხადა. ამას ძალიან იამა ეს ამბავი და მაშინვე შეაგროვა ოთხი მაზრის ხალსი, რომ ეცნობებინა შკოლის გახსნის თაობაზე. გლეხებს ყველას მოეწონაეს აზრი და იქვე გამოაცხადეს:—ჩვენც უნდა გამოვიღოთ რამე მაგ შკოლისათვისაო. მერე გადაწყვიტეს, რომ ყოველს კაცის სულს წელიწადში გამოერთვას ოთხაბაზ უზალთუნი. ამსახით წელიწადში იკრიბება ა თ ა ს ხ უ თ ა ს ი თ უ მ ა ნ ი. იმათ დასდვეს, რომ სამი წლის განმავალობაში ყოველწლის თავზე ამდენი ვაძლიოთო შკოლას. ამას გარდა უსტსოსნოვის სოფლის გლეხებმა შკოლის გასამართავათ ორასი დესეტინა ადგილი დაუთმის. შკოლა გაიხსნა ამ წლის თხუთმეტ მკ თათვეს.

*
* *

სანამდის თვითონ შკოლაზე ვიტყოდეთ რასმე, ჩვენ გვინდა ცოტაოდენი მოვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორი სახლოსნობა იციან უსტსოსნოვის შკოლის [illegible] გლეხებმა, როგორ იარაღს ხმარობენ მიწის მუშაობაში, ან რასა სთესვენ. ამ ნაირათ ჩვენ შეგვეძლება წარმოუდგინოთ მკითხველებს ისეთი სოფლები, საცა უფრო ნაკლებათაც იციან მიწის მუშაობა, უფრო ცოტა ნამუშევარიც მოსდით, მაგრამ იმდენი გონიერება კიდევ ჰქონიათ, რომ მიმხვდარან: „არა, ძმავ, თუ ჩვენს შვილებს ისეთი მუშაობა არ ვასწავლებინეთ, როგორც განათლებულს ქვეყნებში იციან, თავის დღეში გაჭირებისაგან თავს ვერ ვიხსნითო, მოდი რამდენიც შეგვიძლიან, იმდენი შევწიროთო შკოლის გამართვისათვის, რომ კარგი მუშა და სახლოსნობის მცოდნე შვილები გამოგვეზარდოსო. ისმინე, მკითხველო, და შენც დაადექი ამ გონიერს აზრსა.

*
* *

რომელთაც შკოლა გაუხსნიათ, იმ ოთხ მაზრასა ჰქვიან: ტარსმინი, კასსმინი ზემოტომსკი და მუნგათი. ამ მაზრებში გადიან ორი მდინარე ტომი და ინეა; მცხოვრებლები ითვლებიან თითქმის თ ე ქ ვ ს მ ე ტ ა თ ა ს ამ დ ი ნ, მაგრამ იმათში ათი ათასი სული თუ გამოვა კარგი მუშა, თორემ სხვანი ძაბუნები არიან. მიწა ბევრი აქვთ. სახელმწიფო ხარჯს სულზე ექვს მანეთს იხდიან. საშუალო გამოანგარიშებით ოჯახში რომ ოთხი კაცის სულს ჩავაგდოთ, მაშინ ერთს გლეხს ემართება წელიწადში ო ც დ ა ო თ ხ ი მ ა ნ ე თ ი.

*
* *

რითი რჩება იქაური გლეხი?—მიწის მუშაობით და პირუტყვის შენებით. ამას გარდ ზოგი ნახშირს წვამს; რომელიც ქალაქზე ახლოა, ის ბოსტანს აკეთებს და მწვანილ ჰყიდის, ზოგი ფუტკარს აშენებს, თევზს იჭერს და ჰყიდის, შეშას ჰყიდის, ზოგი ფისსა დ ნავთს აკეთებს, ზოგმა ხელოსნობაც იცის პირუტყვის ტყავებს აკეთებენ და ჰყიდიან, ზოგი დურგალია და ზოგი მჭედელი. მუშაობისათვის რაც პაპის პაპას უხმარია, ისინიც ი უხეირო იარაღებს ხმარობენ. ოქოქა (სახ ნისი), ორთვლიანი გუთანი, ფარცხი და სხ მიწის სამუშაო იარაღები ჩვენებურზე უფრ ცუდებს ხმარობენ; ცელითა და ნამგლი თიბვენ და მკიან.

*
* *

თესვენ დიკას, პურს, ქერს და შვრიას; მო

ყავთ სელი, კანაფი და სატაცური, აგრეთვე სტაფილო, კარტოფილი ბოლოკი ჭარხალი და სხვ. ერთი სიტყვით მოჰყავთ ის მცენარები, რასაც ჩვენში თესვენ. სასუქის ხმარება არ იციან. ერთ წელიწადს რომ ერთ ადგილს მოხვნენ, მეორე წელიწადს მეორესა.

ჭ ი რ ა: ვინც დღიურათ გაურიგდება სასმელ საჭმელი პატრონისა უნდა იყოს და მაშინ მუშა ხუთ შაურს იღებს; ხუთრო შვიდ შაურსა, მჭედელი ათშაურსა და დურგალი ორ აბაზსა. მოჯამაგირე წელიწადში იღებს ოთხ თუმანსა. აქედგან სჩანს, რომ იქ მუშა და მოხელე უფრო ცოტას იღებს, უფრო ღარიბნი არიან ჩვენ გლეხზე, მაგრამ თავის შვილების გამოზრდისათვის ერთი კაცი ოთხ აბაზ უზალთუნს აძლევს წელიწადში, ჩვენში კაპეიკსაც არავინ იღებს. ეს ძალიან სამწუხარო შესანიშნავი ამბავია-

*
* *

უსტ-სოსნოვის შკოლა იმ აზრით გახსნეს, რომ სოფლელების შვილებს ასწავლონ კარგი მიწის მუშაობა, ისეთი მუშაობა, როგორიც იციან განათლებულ ქვეყნებში, ასწავლონ ყოველგვარი ხელობა და რიგიანი ოჯახობა. შკოლის უფროსები ცდილობენ წიგნის სწავლებით გაუხსნან იმათ გონება და ამასთან გააცნონ ყოველნაირი სწავლა, რაც კი შეუძენიათ სწავლულ ქვეყნებში, ისე რომ რასაც შეგირდები სიტყვით ისწავლიან, იმისი საქმეში გამოყენებაც შეეძლოთ.

*
* *

ახლა მოვთვალოთ სათითოოთ სასწავლებელი საგნები:

1) უნდა გააჩვიონ შეგირდები საუკეთესო მიწის მუშაობაში; ამათ უნდა იცოდენ სასუქის კარგათ მომზადება და იმითი მიწის გასუქება, ყანის დათესვის რიგი და მიხედენ რა მიწას როგორი თესვა მოუხდება. 2) უნდა იცოდნენ მრავალ ნაირი ხორბლის თესვა, გაშენება ზეთის მომცემი მცენარებისა და სხვებისა, რომელნიც ან კარგ ფასათ გადიან, ან საღებავათ და ან ქარხანებში იხმარებიან. 3) უნდა იცოდენ ხმარება საუკეთესო მიწის სამუშაო იარაღებისა, რომელნიც აქვთ განათლებულს ქვეყნებში. 4) უნდა იცოდნენ ისეთი მებაღობა და ბოსტნის კეთება, როგორიც სჭირია სოფლის მეოჯახესა. 5) ფუტკრის მოშენება; 6) ცხენისა და პირუტყვის გვარის გაუკეთესება, ფრინველების გამოზრდა და 7) სხვა და სხვა ხელობა. ამას გარდა შეგირდებს ასწავლიან სალმრთო ისტორიას და ქრისტიანულს სჯულსა, წერას, ანგარიშს, ღრამატიკას, სხვა-და-სხვა ქვეყნების ამბავს (გეოგრაფიას), და სამშობლო ისტორიასა. წიგნით ასწავლიან სახლოსნობას და ფუტკრის შენებას, ხელობის ანგარიშს: თუ როგორ კეთდება ტყავი ან სამოგვე, ასწავლიან ქონის გადადნობას, სანთლის ჩამოსხმას, საპნის კეთებას, ერბოს კეთებას და ყველის ყვანას. ოსტატობას სხვა და სხვა ნაირსა: მჭედლობას, დურგლობას,ჩექმის კერვას და ხუროობას. შკოლაში უნდა იყოს სამოცი ყმაწვილი; სწავლის ვადა ექვს წლამდისა აქვთ.

*
* *

პირველ წელიწადში შკოლა გაიხსნება გლეხების ხარჯზე; ისინი როგორც ზემოთა ვთქვით წელიწადში სულზედ იხდიან ოთხ აბაზ-უზალთუნსა და ამნაირათ ყველა გლეხებისაგან დგება ათას ხუთასი თუმანი; ამას გარდა რაც შტრაფის ფული შემოდის, სულ ამ შკოლას ახმარებენ. ზარდა ამისა ვინც მდიდარი ვაჭარია და მებატონე, ისიც ჰსწირავს ხოლმე რამდენიც შეუძლიან, რადგანაც ამ შკოლაში გამოზრდილი ყმაწვილები ყველასთვის სასარგებლო და გამოსადეგი შეიქმნებიან. შემდეგ როცა თვითონ ყმაწვილები დაისწავლიან იმ ხელობას და ყოველგვარ მუშაობას, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ, თვითონ ისინი შკოლაშივე დაიწყებენ კეთებას სხვა და სხვა ნივთებისას, დაიწყებენ მჭედლობას, დურგლობას, საპნის კეთებას და გაჰყიდიან ამ თავის ნაკეთებსა; ასე რომ სამი ოთხი წლის შემდეგ შკოლა თავის შეგირდების შრომითვე დარჩება. ბლეხებს ფულის გამოღება აღარ დაჭირდებათ შკოლის სარჩენათ. ამსახით ოთხი—ხუთი წლის შემდეგ ეს ჩინებული შკოლა თვითონვე თავის შეგირდების შრომით ირჩენს თავსა და ამასთანავე გამოზრდის ისეთს დახელოვნებულს ახალგაზდობას ყოველგვარს საქმეში, რომ ამ მხარეს აღარა გაუჭირდებარა; ხალხი თავისი ნასწავლი ახალგაზდობის შეწევნით მალე გამდიდრება; მიეცემა კეთილ დღეობასა.

*
* *

შკოლას იქვე გაწყობილი აქვს ყოველ გვარი შენობა, რაც კი საჭიროა ან ხელის შესანახავათ ან ყოველ ნაირ ნამუშევრის ხელ-ცეულობის და თეთრეულობის (ძროხოულის) შესანახავათ.

იქვე არის პირუტყვების სადგომი, ფარეხი და სხვ., ამბარები (ბეღლები) სხვა და სხვა ნაირი, ცეცხლის საქროობელი მაშინები და სხვ.

ტყავის და სამოგვის საკეთებელი სადგომი ორ-ეტაჟიანი. ქვემო ეტაჟში საკუთრათ ტყავის საკეთებელია: აქ არის დადგმული ხულა, დიდი საწყლე კოდი და ორი სარეცხი ბოჭკა. ზემო ეტაჟშია ქონის სადულებელი, საპნის საკეთებელი და ტყავის საშრობი.

აქვე არის ყოველგვარი მიწის სამუშაო იარაღები და მაშინები. რუს გასაველები გუთანი, რამსონისა და სიმსის გუთანი, დიდი ამერიკული გუთანი, პატარა ნემეცური გუთანი, მიწის სათხრელი, ბევრ პირიანი სახვნელი და მიწის შემოსაყრელი. ორი ცხენების გასაბმელი ფარცხები, ცხენის გასაბმელი ფოცხები, თივის საჭრელი მაშინა, გასანიავებელი, ბოლოკისა, კარტოფილისა და სხვა ბოსტნეულობის სარეცხი მაშინა და მრავალი სხვა ამისთანაები. აქვე არის კარგი საფუთკრე გამართული. ამასთანავე დაბარებულია საზღვარ გარეთიდგან მრავალი მიწის სამუშაო და საოჯახო იარაღები და მაშინები.

*
* *

წინ წავდგეთ, ჩემო, მკითხველო, დროა ჩვენც მოვკიდოთ ხელი ამისთანა კეთილ საქმესა. თუ უკეთესი ცოდნა არ გვექნა ისე ცოტა მიწა-წყლით, რამდენიც ჩვენა გვაქვს ველარ დავრჩებით. ჩვენთვისაც მიუცილებელათ საჭიროა უსტსოსნოვისთანა შკოლის გამართვა. ამ საქმეში მოთავეთ უნდა გახდენ სოფლის მოხელე კაცები: მამასახლისები და სუდიები. იმათ შეუძლიანთ დააჯერონ ხალხი. და გამოაღებინონ გლეხებს ყოველ წლობით ცოტაოდენი ფული, რომ ამითი შეგროვდეს თავნი შკოლის გასამართავათ. ტფილისის გუბერნიაში სამასი სოფლის სასამართლოა. თითო სოფლის სასამართლოზე რომ ასი გლეხი ჩავაგდოთ, შეიქნება სულ მთელს გუბერნიაში სამი ათასი გლეხი. ბლეხში რომ სამი მუშა ჩავაგდოთ, შეიქნება ცხრა ათასი სული. სულმა რომ თითო მანეთი გამოიღოს—ესეც ცხრა ათასი მანეთი; ახლა ამას მიუმატოთ ის ფული,

რასაც თავად-აზნაურობა შესწირავს.—შეჭველათ წელიწადში შესდგება თუთხმეტი,ან თექვსმეტი ათასი მანეთი. ამ ფულით მშვენიერი შკოლა გაიმართება, სადაც გაიზრდებიან ჩვენი გლეხების შვილები, რომელნიცა თავის მოხელეობით და კაი მიწის მუშაობით როგორც თავიანთ ოჯახსა, ისე მთელს ქვეყანას გაამდიდრებენ. ბევრი-ბევრი ორ სამ წელიწადს თითო გლეხს დაეხარჯოს თორმეტი მანეთი, მაშინ როდესაც ამ შკოლაში გამოზდილი იმისი შვილი, ან მჭედლობით, ან დურგლობით, ან საპნის კეთებით და ან სხვა რამე მოხელეობით ყოველ წლობით შემოიტანს შინა ოცსა და ოცდა ათ თუმანსა.

ქეთილგონიერნო, მამასახლისნო, თქვენზეა დამოკიდებული ამა კარგი საქმის დაწყება. ღმერთმან ინებოს, მალე შესდგომოდეთ ამ დიდს საქმესა, რომლითაც გაკეთდება და გამდიდრდება ყოველი სოფელი.

მავნებელი და სასარგებლო ცხოველები.

ქალია.

— შეჭველია ყველას გაეგონება ბევრი რამ იმ აოხრებაზე, რომელსაც მოახდენს ხოლმე ხშირათ რომელიმე მხრიდან ჯგუფ-ჯგუფათ მოფრენილი კალია; შეიძლება, ბევრს, თავის თავზედაც გამოეცადოს ის ენება, რომელიც მოაქვს ამ ცხოველს. ჩვენ, ღვთის მადლით, საზოგადოთ იშვიათათ გვესტუმრება ხოლმე კალია და როცა კი მოვა, კარგაკვალს დაჩენს მხარეს, ასე რომ იმის სტუმრობას სწორეთ ისევ აზნაურის სტუმრობა სჯობია, განსაკუთრებით ახლანდელ დროში; მაგრამ ზოგიერთს სხვა ქვეყნებში კი ის თითქმის ყოველწლივ დაეცემა ხოლმე ყანებსა და მოკლე ხნის განმავლობაში სრულებით ამოსჭამს პურსა და ქერს და გაატიტვლებს ხეებსა. ყველაზე უფრო ხშირათ კალია იცის სამხრეთის რუსეთში, ოსმალეთში, სპარსეთში, ინდოეთში და ზოგიერთს ამერიკის ქვეყნებში.

უნდა იცოდეთ, რომ ამ ქვეყნებში ყველგან ერთგვარი კალია კი არ არის; მაგ. ჩვენში ქართლ-კახეთში და სომხითში თეთრი კალია და რუსეთში მწვანე აოხრებს ყანებსა, ამერიკაში—ნაცრის ფერი, ფრთებზე წერტილებიანი კალია, სპარსეთში და ინდოეთში წითელ-თავიანები არიან და სხ.

ჩვენი კალია, როგორც ზევით ვთქვი თეთრია და ფრთებზე იმას შავ-შავი ლაქები აქვს. აქ მოყვანილი სურათი, ან ცოცხალი კალია რო დაიჭიროთ ხელში და ნახოთ, თქვენ შენიშნავთ, რომ იმას აქვს ოთხი ფრთა: ორი მარჯვენივ და ორიც მარცხნივ; უკანა ფრთები უფრო თხელი და ნაზია, ისინი მარაოსავით არიან დაკეცილი და ზევიდან გარდაფარებული აქვთ წინა ფრთები, რომელნიც უფრო სქელი და მაგარია; როცა კალია ზის უკანა ფრთები სულ არა ჩანან; გაფრენის დროს კი წინაფრთებსაცა და უკანაებსაც გაშლის ხოლმე და იმათი შემწეობით კალია თვალგადუწვდენელ სივრცეზე გარდაფრინდება. ამას გარდა შენიშნავთ, რომ უკანა ფეხები კალიას გრძელი და სხვილები აქვს, ამათი შემწეობით იმას შეუძლიათ მარჯვეთ და შორს გადახტომა. საზოგადოთ შენიშნულია, რომ ყველა ცხოველები, რომელთაც უკანა ფეხები წინაზე უფრო გრძელი აქვთ, ძალიან კარგათ ჰხტიან. წინა ფეხები კი კალიას უფრო პატარაები და სუსტი აქვს; იმითი დაიჭერს საჭმელსა და ისე სჭამს. ფეხებს გარდა კალიას აქვს თავზე ორი გრძელი რქა, რომელიც შეხებისთვის ეხმარება; რომ დააკვირდეთ, თვალებსაც დაუნახავთ. ზედა ყბა ძალიან დიდია და შუაში გამოჭრილი; ამ ყბაში, პირი რო გაუღოთ, თქვენ დაინახავთ ჩვენ დამღუპველს საძს კბილს, რომელნიც თუმცა ჩლუნგი არიან, მაგრამ ფოთლებსა და ბალახს ძალიან მარჯვეთ სჭრიან; კალიას ხმა არა აქვს; უკანა ფეხების მუხლებს უსობს ის წინა ფრთებზე და ამ ხეხვისაგან გამოისმის ხოლმე ხმა.—

როგორც სხვა ბუზანკალებს, და ბეკლები, ისე კალიაც რამდენჯერმე [illegible] ხეს, სანამ დასრულდებოდეს. დედალი კალია ყოველ წელიწადს შემოდგომაზე სდებს მიწაში სამოციდან ასამდე პატარ-პატარა კვერცხებს; ამბობენ, რომ დედალი კალია დასდებს თუ არა კვერცხებს, იმ წამსვე მოკვდებაო. მეორე წელიწადს ზაფხულში კვერცხებიდან გამოჩეკებიან ახალგაზრდა კალიები, რომელნიც შეხედულობით ძალიან გვანან დიდ კალიებს, მაგრამ ჯერ ფრთები არა აქვთ; დაბადების შემდეგ ორმოცდა ათი დღის განმავლობაში პატარა კალია ხუთჯერ გამოიცვლის სახესა, ტყავს გაიძრობს და სხ.; მესამე კვირეზე, ან ერთ თვეზე გამოესხმება ფრთები.—პატარაობაში კალია მარტო ნაზს ფურცლებსა სჭამს და ერთი ადგილიდან ფეხს არ იცვლის. შემოდგომაზე, როცა კარგათ წამოიზდებიან და ფრთებიც გამოესხმებათ, ისინი გარდაფრინდებიან ერთი ადგილიდან მეორეზე, თუ საჭმელი დააკლდათ; პირველში რამდენიმე დედალი კალია აფრინდება; იმათ გაჰყვება მამლები და შემდეგში ყველა აიწევს და ჯგუფათ მიფრინავენ. ერთი რუსი სწერს, რომ „1855 წ. მე მივდიოდი ტროიკით ოდესიდან ნიკოლაევს და გზაზე აფრენილი კალია შემოგვეგებაო; შვიდი ვერსი გავიარეთ და ისინი კიდევ მოფრინავდნენ; იმდენი კალია იყო, რომ შვიდი ვერსი სივრცე მიწა სულ დაბნელებული იყო, ასე გეგონებოდათ შავი ღრუბელი მოდის“.—

რასაკვირველია, სადაც ამდენი კალია დაჯდება, უეცრათ შესჭამს იქაურობას ძირიანათ; სამხრეთის რუსეთში ხშირათ ყანების კვალიც აღარ რჩება, ისე ამოფხვნის ხოლმე კალია, განსაკუთრებით როცა შორიდან მოფრინავენ და დიდი ხნის დამშეულნი არიან. ერთს ადგილზე რო მოსჭამენ ყველაფერს, მერე სხვაგან მიფრინავენ და იქაც ისე აოხრებენ ყველაფერ მცენარეს.—ყველას კი სიმინდი და ლერწამი ურჩევნია საჭმელათ.—

ფრთების გამოსხმის, შემდეგ კალია მარტო ორმოც დღეს ცოცხლობს, მაგრამ ამ მოკლე ხნის სიცოცხლით ის უფრო მომატებულ ზიანს გვაძლევს, ვიდრე სხვა რომელიმე ცხოველი, რომელიც ორმოც წელიწადს სცოცხლობს.

ქალიის მოსასპობლათ ბევრ საშუალებას ხმარობენ, მაგრამ ვერაფერმა ვერ უშველა; ისევ

ეროვნული

კვერცხების წახდენით და ახალგაზდა, უფროთოს ამოწყვეტით თუ რამ გაეწყობა, თორემ, როცა გაიზდებიან და ფრთები გამოესხმებათ, მერე ვერც ზარბაზნის სროლა, ვერც ყვირილი და ვერც სხვა რამ იპატიებს იმათი აოხრებისაგან.—ხშირათ, საცა კალია ჩნდება, იქვე აუარებელი შროშნებიც მოფრინდებიან და რაც შეუძლიათ სჭამენ იმათა, მაგრამ იმდონს, რასაკვირველია, ვერ ამოწყვეტენ, რომ ამით ცოტაოდენი მაინც შემსუბუქება მიეცეს ყანებს.—

დასასრულ ვიტყვით, რომ ჩინეთში, ეგვიპტეში და ზოგიერთს სხვა ქვეყნებში კალიას ისე გემოიანათა სჭამენ, როგორც ჩვენ კიბოსა; სამხრეთის ფრანციაში ძალიან სიამოვნებით მიირთმევენ ჩადებულ კალიის ბარძაყებსა. ძველათ საბერძნეთში სჭამდენ კალიას სოკოსავით; მოსეს კანონით ურიებს ჰქონდათ კალიის ჭამის ნება; ზოგან წამლათაც ხმარობენ.—

(სამეურნეო ცნობები.)

ზონიერი კაცი იმასა ჰქვიან, ვინც ყოველი ნივთისაგან რაც შეიძლება მეტს სარგებლობას გამოიღებს. ზონიერი მეოჯახეც ის არის, რომელიც არაფერს ოჯახში გამოსაყენებელს არ გაუშვებს უყურადღებოთ.

რამდენი რამეები მიაჩნდა უწინ კაცს გამოუდეგარათ, მაგრამ შემდეგში ამ ნაირი გამოუყენებელი ნივთი ძალიან სასარგებლოთ დაუნახავს და ეხლა უიმათოთ, მგონია, გაძლებაც არ შეუძლია. ავიღოთ მაგალითათ ძვლები; ვის ეგონა უწინდელ დროში, რომ მკვდარი ცხენის, ხარის ან სხვა რომელიმე ცხოველის დაფქვილი ძვლები ისე სასარგებლოთ შეიქნებოდა და ისეთი ფასი დაედებოდა, როგორც ახლა? განათლებულ ქვეყნებში, საცა ხენა-თესვაზე დიდი ყურადღება აქვთ მიქცეული, ძალიან ბევრი მეოჯახეები ხუთას და მეტს მანეთს ხარჯვენ მარტო ძვლის სასუქისთვის, და მის ნაცვლათ, რასაკვირველია ამ ნაირად ნასუქი მიწა სამი იმდონს ნაყოფს გამოსცემს, რაც უსასუქოთა.—როცა პირველში ხარი მოაშინაურა კაცმა, მარტო იმის ხორცით სარგებლობდა; ახლა კი, ჩვენ ვხედავთ, რომ ხარი გაუბეს ურემში, იმის რძით და სხვა ბევრგვარათ სარგებლობს კაცი.—

აქამდინ ქათმის მარტო ხორცი და ლინლი იყო გამოსადეგი და მარტო ამ საჭიროებისთვის აშენებს ხოლმე კაცი თითქმის ყოველ ქვეყანაში იმას. ერთს გაზეთში სწერენ ახლა, რომ ამას გარდა სხვაფრივაც შეიძლება გამოიყენოს კაცმა ქათამი ოჯახობაში; იმის განავალს რო მოუყაროს კაცმა თავი ამბობენ, ძალიან დიდათ გამოსადეგი იქნებაო სასუქათ და გ უ ა ნ ო ს *) ბევრათ ემჯობინებაო, რადგან უფრო ნოყიერათ ჰხდის ხოლმე მიწასა.—გამოანგარიშებულია, რომ ერთი ქათამი დღეში, იმ დროს როცა ის დაბუდებულია, შვიდ მისხალს განავალს უშვებს; მაშასადამე ერთი ქათმისაგან წლის განმავლობაში ოცდა ათი გირვანქა განავალი შედგება და ვისაც ასი ქათამი ჰყავს, იმას შეუძლია წელიწადში სამოცდა ათ ფუთ განავალს მოუყაროს თავი და ეს ათ დღიურ მიწას ძალიან კარგათ ეყოფა სასუქათ. ფუთი გუანო, როგორც ვთქვით მანეთად და ხუთ შაურათ ღირს, მაშასადამე ასი ქათმის განავალი ოთხმოცდა ათ მან. ეღირება და ძალიან ბევრს სარგებლობას მოუტანს ყოველ მეოჯახეს.—

რასაკვირველია, იმისთვის რომ ამ განავალის მოკრეფა შესაძლებელი იყოს, ქათმებს უნდა ჰქონდესთ ერთი საბუდებელი, სადგომი, რომელიც ყოველ კვირაში ორჯელ, ან ერთხელ მაინც უნდა გამოიწმინდოს და ამ რიგათ განავალი მეოჯახემ ცალკე შეკრიბოს; ეს კიდევ იმიტომა უნდა ჰქნას კაცმა, რომ ქათმის განავლის სუნი ძალიან მავნებელია, როგორც თვითოს ქათმებისა, ისე ადამიანისთვისაც და როცა იმათი სადგომი ხშირათ გამოიწმინდება და ნაკელს ერთათ მოეყრება თავი, მაშინ ის ვერაფერ ვნებას ვერ მოიტანს.—

ქ ა თ მ ე ბ ი ს ა ვ ა თ მ ყ ო ფ ო ბ ა დ ა ი მ ი ს წ ა მ ლ ო ბ ა. ქათმის ავათმყოფობა ძალიან გახშირებულია ახლა განსაკუთრებით ფრანციაში; აქ თითქმის ყოველ წელიწადს ზაფხულში გაუჩნდებათ ხოლმე ქათმებს ჭირი და იმას ბევრი ზიანი მოაქვს მეოჯახეებისათვის; მაგრამ გასაკვირველია, რომ ის ერთსა და იგივე დროს მთელს მხარეს არასოდეს არ მოედება; ხშირათ ერთს სოფელში გაცხარებული ჭირია, მეორე ამ სოფლის მომიჯნავე სოფელში კი ამ დროს სრულებით არ ჰხდებიან ქათმები ავათ. ზოგიერთ სოფელში, ამბობენ, მის დღეშიაც არ ყოფილა ეს ჭირიო და ზოგს ყოველ წელიწადს ეწვევაო.

ავათმყოფი ქათამი რაღაც დაღლილივითაა, ის ძლივს ინძრევა და არ დაფრინავს; სხვა ქათმებში არ ერევა, მიწაში საჭმელს არ ეძებს— არ ჩხრეკნის და არც ღამ-ღამე საბუდეზე ჯდება; იმის ხმის გამოცვლა გვიმტკიცებს, რომ ავათმყოფობის მიზეზი ყელში უნდა იყოს მართლათაც ჭირიანს ქათამს რომ გაალებინოთ პირი, დაინახავთ რომ ენაზე და სასაზე იმას პატარ-პატარა მოლურჯო ლაქები აქვს და თითონ ენაც ფერმკთალია; ამას გარდა ავათმყოფს ქათამს იმით შეეტყობა კიდევ, რომ ნისკარტი მუდამ გათხუპნული აქვს და თვალებიდამაც ბაყლი მოსდის. შემდეგში ენისა და სასის ლაქები იზრდებიან და მოკლე ხანს უკან მუწუკებათ შეიქნებიან; მუწუკები თან და თან იზდებიან, ასე რომ მეოთხე ან მეხუთე დღეზე ქათამს სუნთქვა შეეკვრება და კიდეც კვდება.—

ამ ავათმყოფობის წამალი, როგორც სწერენ, შემდეგია: აფთიაქში უნდა იკითხოთ წყალში გამდნარი „ბერტოლეტის მარილი“ (ბერტოლეტოვა სოლ) და რამდენიმე ჯერ უნდა გამოაცხო ის პირში ავათმყოფს ქათამს იქ საცა მუწუკები აქვს; ამას გარდა ენისა და სასის მუწუკები უნდა გაუჭრათ პატარა დანით და ბაყლი გამოადინოთ.—

როგორც ჩვენში ისე ბევრს სხვა ქვეყნებშიაც აბრეშუმის ჭიის ავათმყოფობამ ძალიან ზიანი მისცა მეოჯახეებსა; განსაკუთრებით გახშირებულია ეს ავათმყოფობა სპარსეთში, ფრანციაში და იტალიაში; ზოგიერთს აზიის ქვეყნებში, მაგ. ბუხარაში, და ტაშკენტში, ჭიები სრულებით არხდებიან ავათა და აბრეშუმიც საუკეთესო მოდის. ამის გამო ამ ხუთი წლის წინეთ სამი იტალიელი წავიდნენ ბუხარაში მრთელი აბრეშუმის თესლის სასყიდლათ და გამოსატანათ, მაგრამ ამ საქმის შესრულების ნაცვლათ იმათ გამოსცადეს იქაური უშველარი

---

*) ზოგიერთს ზღვის კუნძულებზე მიწის ზემო პირი მოფენილია სქელი ნაკელით, რომელიც შესდგება იქაური სხვა და სხვა ფრინველების განავლით და რომელსაც ჰქვია სახელათ გ უ ა ნ ო. ანგლიაში ფრანციაში, ბელგიაში და სხვა ქვეყნებში მოაქვთ კუნძულებიდან ეს გუანო და მიწის სასუქათ ჰხმარობენ. ფუთი გუანო ფრანციაში ერთმანეთათ და ხუთ შაურათა ღირს.—

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბარბაროსული ხალხისაგან ბევრი წვალება, შეურაცხყოფა და უბედურობა: ისინი გაცარცვეს იქა და ცოცხლებიც ძლივს დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში.—ეხლა ზოგიერთი ქვეყნები საშუალო აზიისა რუსებმა დაიჭირეს და ამიტომ ყველას შეუძლია უშიშრათ ივაჭროს ამ ქვეყნებში.—ამბობენ, რომ ტაშკენტში და ხოჯენტში რამდენიმე იტალიელი ვაჭრები არიანო ამ ხანში და დიდძალი აბრეშუმის თესლის გამოტანას აპირებენო. თუ გახსოვთ, ამას წინეთ ვთქვით გაზეთში, რომ ზოგან ფრანციაში, საცა ძველი ავათმყოფი ჭია გაწყვიტეს და მის ნაცვლათ ახალი მოაშენეს, ძალიან კარგი აბრეშუმის მოსავალი მოვიდა; ამიტომ ჩვენთვისაც სასარგებლო იქნება, რომ სპარსეთში და ევროპის ქვეყნებში ავათმყოფობა მოისპობოდეს საშუალო აზიიდან გამოტანილი თესლების მოშენებით, რადგან აქედან შემდეგ ჩვენც შეგვიძლია ვისარგებლოთ.—

სალიტერატურო ნაწილი.

მედროჟკესთან საუბარი.

ერთხელ პაველოვსკიდგან დაბრუნდი პეტერბურგს. შუაღამე იყო. რკინის გზის ოკზალიდგან ჩემი საბინაო სახლი კარგა მოშორებით იყო. ცოტა დაღალულიც ვიყავი და იზვოსჩიკს დაუძახე. ჩემ ხმაზე მოჩანჩალდა ფერდებ მიკრული ცხენი თავის პატრონიანა.

— ჩაბძანდი, ბატონო, ჩემ ცხენს ეგრე ნუ უყურებთ, გამხმარია მაგრამ მერანია.—ერთ მინუტას მიგიყვან შინა.—წელკავიან ცხენს რომ ეუყურებდი, რაღაც არა მჯეროდა მედროჟკეს სიტყვები, მ-გრამ სხვა დროჟკის დაძახებას ისევ ამაში ჩაჯდომა ვირჩიე. მართლაც რომ ცხენი ჩანჩალით ძლივს მიდიოდა. ერთ ვიწრო ქუჩაში რომ შეუხვიეთ, კაცის ყვირილი მოგვესმა: „კარაულ, კარაულ!..“

— ეგ რა ამბავია,—ვკითხე იზვოსჩიკს.—არაფერი,ბატონო,პოლიციელებს ვინმე დაუჭირავთ და ჩასტში მიათრევენო.—წავიდეთ ვნახოთ, იქნება უსამართლოთ დაიჭირეს—მეთქი.—ბატონო, მაგას როგორ ბძანებთ, პოლიციელები ჩინით უფროსნი არიან და ამიტომაც ყოველთვის სამართლიანათ იჭერენ.

— ეგ რათი იცი?

— იმითი ვიცი, რომ ჩემს სიცოცხლეში მეც ბევრს ხიფათში გავბმულვარ, ბატონო, მაგრამ, საცა ჩემზე უფრო დიდ ჩინიანთან მქონია საქმე, იქ დანაშაული ყოველთვის მე მქონებია და საცა ჩემზე პატარა ჩინის კაცს წავჩხუბებივარ, იქ მე გამოვსულვარ ხოლმე მართალი. ეს ესრეა ყოველთვის.

ამ დროს შევატყე, რომ ცხენმა ჩანჩალი აკლო. იზვოზჩიკმა ეს ჩემზე უმალ შეიტყო და იფიქრა, თუ ეს ბატონი რითიმე არ შეეიქცია, დროჟკიდგან ჩამოხტება და ქირა დამეკარგებაო. ამისთვის მომიბრუნდა და მითხრა:—ბატონო, სიტყვაზე მომაგონდა. „პრავდასა“ და „ქრივდას ზღაპარი არ გაგიგონიათო?—არა—მეთქი.—თქვენ სახლამდის მაინც ჯერ კიდევ ბევრი გზაა, გნებავთ მოგიყვებით, სანამ გავათავებდე,კიდეც მივალთო.—აბა, ჰე!—მე ეუთხარი.

აქ მკითხველს უნდა მოვახსენო, რომ „პრავდა“ ქართულად „სამართალს“ ნიშნავს და „ქრივდა“—„უსამართლოს“.

*
* *

ზღაპარი.

— იყო ქვეყანაზე ორი კაციო—დაიწყო მედროჟკემ. ერთს ერქვა „სამართალი“, მეორეს „უსამართლო“. „სამართალი“ იყო ძალიან გამხდარი კაცი, სახით მოხუცებული, წელში მოხრილი, წინ ჯოხი ებჯინა და ძლივს დაჩაკუნობდა ქვეყანაზეო. „უსამართლო“ მშვენიერი სახის კაცი იყო, წელში გამართული და თვალები მუდამ დასისხლიანებული ჰქონდა ღვინითაო. ერთხელ „უსამართლო“ შეხვდა „სამართალსა“ და უთხრა: ვაი, შე საწყალო, როგორ უხეიროთ დაჩაკუნობ, მიწიდგან ამოღებულს ჰგავხარო.—წამო სასტუმროში ერთხელ მაინც კარგათ გაგაძღობო.—რა ვქნა, ძმავ, ჯიბეში გროში არ მიჭყავაო,—უთხრა „სამართალმა“.—გროში არც მე მაქვს, მაგრამ წამოდი, ნახე ჩემი ვაჟკაცობაცაო, კიდეც მოგილხენ და ფულსაც წამოვიღებო.—უთხრა „უსამართლომ“. წავიდენ და სადაც უფრო მდიდარი სასტუმრო იყო, იქ შეეიდენ. სასტუმროს პატრონს სტუმრები ბუზსავით ეხვევენენო; ერთი ითხოვდა შამპანსკასაო, მეორე ბიეშტეკსაო, მესამე ოტკასა და ვინ იცის სხვები რამდენს რასაო. ამ ალაღში „უსამართლოსაც“ გაჯავრებულათ დაიყვირა, ბიჭო, მოგვართვი ესა, ესა და ესაო.

*
* *

რაც ქვეყანაზე კაი საჭმელი და სასმელი მოიძებნებოდა,სულ „უსამართლოსა“ და „სამართლის“ სუფრაზე მოვიდაო. როცა კარგათ იქეიფეს, „სამართალმა“ უთხრა: ძმობილო, რა ვქნათ, რომ არც მე და არც შენ ფული არ გვაბადია! რითი უნდა გადავიხადოთ ჩვენი სადილის ფასიო? შენ დარდი ნუ გაქვს—უთხრა „უსამართლომ“ და გაერია სხვა სტუმრებში, მერე დაიყვირა:—მესტუმრე, ნაშალი მოგვართვიო.—რაც არ მოგიცია რის ნაშალი მოგართვა, ბატონო,—უპასუხა მესტუმრემ.—რისა და ხუთ თუმნიანისაო, რომელიც, ეარის, ეხლა გამომართვა რომელღაც შენმა მსახურთაგანმაო. იქით ეცენ, აქეთ ეცენ, მაგრამ ვერსად ვერა იპოვესრა. ყველა მსახურ ამბობდა, არა მოუციარაო. „უსამართლო“ კ საოცრად ჰყვიროდა:—ყველას ეხლავ დავაჭერინებ, სასტუმროს დაგიკეტავთ, თუ ეხლა ხუთი თუმნის ნაშალი არ მოგიტანიათო. მესტუმრეს დავიდარაბისა შეეშინდა, ჰსთქვენეტა ეს ჭირვეული კაცი მოვიცილო თავიდგანაო და ჯანი გავარდეს ხუთ თუმანსაო. ოცდა ხუთი მანეთი სადილის ფასია, ბატონო, და ეს ოცდა ხუთი მანეთიც თქვენ ინებეთო. „უსამართლოს“ მოახსენა და თავისი მსახურები ყველანი გაჰყარა. ამ საწყლებმა დაიწყეს ტირილით ლაპარაკი: „სად არის სამართალიო?“ „სამართალმა“ უპასუხა:—აქა ვარ ო ჩუმათა ვარო“!—მედროჟკემ ამით გაათავა თ ვისი ზღაპარი და ცხენმაც ჩემი სადგომ კარებთან მიატანა.—ეს ქირაც შენა და ეს ორი შაური მეტიცა მაგ ზღაპრისთვის—მეთქი.—ბატონო, ამით თქვენს სადღეგრძელო დავლეო, წამოიძახა იზვოზჩიკმა, დაჰკრა თ ვის ცხენს მათრახი და დროჟკა გაარახუნა.

განცხადებანები.

გამოვიდა და ისყიდება მელიქიშვილ სტამბაში და ალადათოვის წიგნის მაღაზია

კატა აწოლნა.

კომედია

ორ მოქმედებათ

დ. მელვინეთხუცესოვისა.

ფასი ერთი შაური

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25-го октября 1869 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი და გამომცემელი ბ. წერეთელი.